1941

უფასო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

№ 10 | წელიწადი მეხუთე | 1941 წ.

## შინაარსი

1. ტიპიური შინაგანაწესი დაწყებ. ა/ს საშ. და საშუალო სკოლის მუშაკთათვის . . . . . . . . . . . . . 2
2. ბრძანება № 4036—1942 წლ. ქსელის კონტიგენტის ფინანსირებისა და საწარმოო გეგმის დროულად დამუშავების უზრუნველყოფის შესახებ . . . . . . . . . . . . . 10
3. მეთოდური მითითებანი სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში გამოფენის მოწყობის შესახებ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით . . . . . . . . . . . . . . 12
4. ცირკულარულად—ოქტომბრის რევოლუციის 24 წლისთავის აღნიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . 14
5. ცირკულარულად — აფხაზეთისა და აჭარის განსახკომებს, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო და საქალაქო განყოფილებებს და ყველა პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა გამგეებს . . . . . . 16

განსახკომი
თბილისი—1941

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია 1939 წლის 8 მაისის საქ. სსრ განსახკომის მიერ საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ც. კომიტეტის პრეზიდიუმთან შეთანხმებით (იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რაც შეტანილი იქნა საქ. სსრ განსახკომსა და საქ. დაწყ. და საშ. სკოლის მუშ. კავშირის ც. კომიტეტის 1940 წლის 16 ოქტომბრის ცირკულარული წერილებით).

საქ. სსრ განათლების სახალხო
კომისარი **გ. კიკნაძე**

საქ. სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის
მუშაკთა პროფკავშირის ც. კომიტეტის
თავმჯდომარე **ალ. მურუსიძე**

# ტიპიური შინაგანაწესი

## საქ. სსრ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მუშაკთათვის

### I. ზოგადი დებულებანი

§ 1. მოცემული შინაგანაწესის მიზანია თითოეულ სკოლაში დაამყაროს მტკიცე შრომის რეჟიმი, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს:

ა) შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ფორმების და მეთოდების განვითარება და სკოლის კოლექტივის მთლიანად და თითოეული მისი წევრის შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება.

ბ) თითოეულ სკოლაში მუშაობის ნორმალური მიმდინარეობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაში საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევის მიზნით;

გ) შრომის დისციპლინის გამტკიცება და სკოლის თითოეული მუშაკის მოვალეობის ზუსტად განსაზღვრა.

დ) სკოლის მუშაკებისათვის შრომის საუკეთესო და ჯანსაღი პირობების შექმნა.

§ 2. ეს განაწესი ტიპიურია საქ. სსრ განსახკომისადმი და მისი ადგილობრივი ორგანოებისადმი ქვემდებარე დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის.

§ 3. მოცემულ წესების განსავითარებლად და დასამატებლად, სკოლის დირექტორები და გამგეები შრომის კანონთა კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად ამ წესების საფუძველზე დაამუშავებენ შინაგანაწესს თავისი სკოლებისათვის, სკოლის მუშაობის პირობების მიხედვით (ქალაქის, სოფლის, მრავალკომპლექტიანი, ერთკომპლექტიანი სკოლა, ერთცვლიანი და ორცვლიანი სკოლა).

სკოლის შინაგანაწესს სკოლის დირექტორი უთანხმებს ადგილობრივ პროფორგანიზაციას და მას ამტკიცებს საქ. დაწყ. და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის რაიკომის შრომის უფროსი საზოგადოებრივი ინსპექტორი.

§ 4. შინაგანაწესი, ხელმოწერილი სკოლის დირექტორის (გამგის) და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარის და დამტკიცებული შრომის ინსპექტორის მიერ, გამოიკრება თითოეულ სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე.

§ 5. შინაგანაწესი სავალდებულოა სკოლის ყველა მუშაკთათვის.

§ 6. შინაგანაწესის დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოიწვევს სათანადო სასჯელს,

აღნიშნულს, მოცემული ტიპიური განაწესის მე-6 კარში.

§ 7. სკოლის არც ერთ მუშაკს არ შეუძლია თავი იმართლოს შინაგანაწესის არცოდნით.

§ 8. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია სკოლაში დადგენილი შინაგანაწესი გააცნოს სამუშაოზე ახლად მოსულ თითოეულ მასწავლებელს და სკოლის ადმინისტრატიულ-ტექნიკურ მუშაკს.

## II. სკოლის მუშაკთა სამუშაოზე მიღების და დათხოვნის წესი

§ 9. სკოლის ადმინისტრატიულ-სასწავლო პერსონალის, მასწავლებლების და სკოლის ექიმის დანიშვნა-დათხოვნა წესრიგდება მომქმედი კანონმდებლობით.

§ 10. სკოლის ბიბლიოთეკარი, მნე და ტექნიკური პერსონალი (საქმის მწარმოებელი, დამლაგებელი, მეეზოვე, ცეცხლფარეში და სხვა) ინიშნება და იხსნება დირექტორის (გამგის) მიერ.

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლის მოანგარიშე (ბუხჰალტერი) ინიშნება და იხსნება განსახკომის მიერ, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სკოლის მოანგარიშე (ბუხჰალტერი)—განათლების განყოფილების მიერ.

§ 11. სკოლის დირექტორს (გამგეს) სამუშაოზე ახალი პირების მიღება შეუძლია მხოლოდ მათ მიერ შრომის წიგნაკის და პასპორტის წარდგენის შემდეგ, ხოლო იმ ადგილებში, სადაც პასპორტი არ არის შემოღებული,—სახლის მმართველობის ან სოფლის საბჭოს მიერ გაცემული ცნობის მიხედვით.

ის პირები, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას, ვალდებულნი არიან, შრომის წიგნაკის ნაცვლად, წარადგინონ ცნობა, გაცემული სახლის მმართველობის, ან სოფლის საბჭოს მიერ, მათი უკანასკნელი საქმიანობის შესახებ. ის პირები, რომელთაც დაამთავრეს უნივერსიტეტები, პედაგოგიური სამასწავლო ინსტიტუტები და პედაგოგიური სასწავლებლები და იგზავნებიან სკოლაში სამუშაოდ, ვალდებულნი არიან წარადგინონ სამივლინებო მოწმობები (საგზურები).

§ 12. იმ პირებზე, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას შრომის წიგნაკები შევსებულ უნდა იქნენ მათი სამუშაოზე [illegible] არა უგვიანეს 5 დღისა.

იმ პირებზე, რომლებიც სკოლაში შეთავსებით მუშაობენ, შრომის წიგნაკები შეივსება მხოლოდ მათი ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით. სკოლების ადმინისტრატიულ პერსონალის და მასწავლებელთა შრომის წიგნაკები ინახება გან. განყოფილებაში, ხოლო დანარჩენი მუშაკების სკოლის ადმინისტრაციასთან ცეცხლგამძლე შკაფში ან ყუთში. მომუშავის სამსახურიდან დათხოვნისას, ან სხვა სამუშაოზე გადასვლისას, წიგნაკი მიეცემა მათ ხელზე.

§ 13. თითოეულ მუშაკზე (გარდა სკოლის ადმინისტრატიულ-პედაგოგიურ პერსონალისა) მისი მუშაობის დაწყების მომენტიდან სკოლაში სდგება პირადი საქმე. მასწავლებლისა და სკოლის ადმინისტრატიულ პერსონალის პირადი საქმე კი სდგება განათლების განყოფილებაში. ადმინისტრატიულ პედაგოგიური პერსონალის პირადი საქმე უნდა შეიცავდეს სანოტარო-კონტორის მიერ დამოწმებულ განათლების დამადასტურებელ საბუთების ასლებს. მოცემულ სკოლაში დანიშვნის შესახებ განსახკომის ბრძანებას, ოქმის ამონაწერს მათთვის პერსონალური წოდების მინიჭების შესახებ, ავტობიოგრაფიას და საალრიცხვო ბარათს.

§ 14. მასწავლებლებს და სკოლის სხვა, მუშაკებს უფლება არა აქვთ თვითნებურად, როგორც სკოლიდან წასვლის, ისე სხვა სკოლაში ანუ სამუშაოზე გადასვლის, სამუშაოდან განთავისუფლება შეიძლება დაშვებულ იქნეს სარაიონო (საქალაქო) განათლების განყ. გამგის წარდგენით საქ. სსრ და აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის გან. განყ. გამგის მიერ, რაც სათანადო ბრძანებით უნდა იქნეს გაფორმებული.

§ 15. სკოლის მუშაკის (ადმინისტრატიულ-პედაგოგიურ პერსონალის და მოანგარიშის—ბუხჰალტრის გამოკლებით) სამუშაოზე მიღება ან მისი სამუშაოდან განთავისუფლება ფორმდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ მის განკარგულებათა წიგნში და შრომის წიგნაკში შეტანის და პასპორტში აღნიშვნის გზით.

მასწავლებლის მიღება, გადაყვანა და დათხოვნა სწარმოებს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია სსრკ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის 1936 წლის 10 აპრილის და 1939 წლის 29 ნოემბრის დადგენილებებით.

§ 16. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ადგილობრივ (სოფლის) კომიტეტს აცნობოს სკოლის მუშაკთა მიღებისა და დათხოვნის შესახებ არა უგვიანეს სამი დღისა—მათი მიღებისა და დათხოვნის შემდეგ.

## III. შრომის განაწესი და მომუშავეთა მოვალეობანი

§ 17. მეცადინეობა სკოლაში იწყება... საათზე და მთავრდება... საათზე.

ორცვლიანი მეცადინეობის დროს ცვლებს შორის დადგენილია სავალდებულო შესვენება არა ნაკლებ ერთი საათისა.

§ 18. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია უზრუნველჰყოს სკოლის ყველა მუშაკთა სამუშაოზე გამოცხადების და წასვლის ზუსტი რეგისტრაცია.

არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში მომუშავეთა სამუშაოზე გამოცხადების და აგრეთვე წასვლის რეგისტრაციას აწარმოებს სკოლის საქმის მწარმოებელი განსაკუთრებულ ჟურნალში, რომელიც ინახება სკოლის კანცელარიაში. ჟურნალი ყოველდღიურ განსაზღვრულ საათებში საქმის მწარმოებლის მიერ წარედგინება პირადად სკოლის დირექტორს.

დაწყებით სკოლაში მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა სამუშაოზე გამოცხადების და წასვლის აღრიცხვა სწარმოებს სკოლის გამგის მიერ სარეგისტრაციო რვეულში.

სკოლის ყოველი მუშაკი ვალდებულია მუშაობის დაწყებამდე და მუშაობის დამთავრების შემდეგ პირადად ხელის მოწერით გატარდეს რეგისტრაციაში სკოლაში არსებული მუშაკთა სამუშაოზე გამოცხადების და სამუშაოდან წასვლის სარეგისტრაციო ჟურნალში.

§ 19. სკოლის თითოეულ მუშაკს სამუშაო საათებში სამუშაოდან წასვლა შეუძლია სამსახურის საქმეების, ავადმყოფობისა ან სხვა საპატიო მიზეზის გამო მხოლოდ სკოლის დირექტორის (გამგის) ნებართვით.

**შენიშვნა:** გაკვეთილებისაგან თავისუფალი საათები (ეგრეთწოდებული „ფანჯრები“ გაკვეთილების ცხრილში), აგრეთვე სკოლაში მორიგეობისაგან თავისუფალი დრო, მასწავლებელს უფლება აქვს გამოიყენოს თავის შეხედულებისამებრ.

§ 20. თითოეულ მასწავლებლისათვის ყოველდღიურად სავალდებულო სასწავლო საათების რაოდენობა განისაზღვრება სკოლის სასწავლო გეგმით სამუშაო დროის არსებული ნორმების ფარგლებში და გაფორმდება გაკვეთილების მტკიცე ცხრილის სახით.

სკოლის ადმინისტრატიულ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთათვის სამუშაო დღის ხანგრძლივობა დაწესებულია 8 საათი, დასვენების ჩაუთვლელად.

კანცელარიის ტექნიკური და სამეურნეო ხაზით მომუშავეთათვის მუშაობის გრაფიკი მუშავდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ ადგილკომთან (სოფლკომთან) შეთანხმებით და გაიკვრება თვალსაჩინო ადგილზე.

**შენიშვნა:** გაკვეთილების ცხრილში შეტანილი ყოველი ცვლილების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს მასწავლებელს ხელისმოწერის ქვეშ.

§ 21. მასწავლებლის დამატებითი დატვირთვა, გარდა მორიგეობისა დასვენების დროს და სასკოლო ორგანიზაციებში მუშაობისა, რაც გათვალისწინებულია ამ ტიპიური განაწესის მე-23-§-ში, არ შეიძლება ტარდებოდეს მასწავლებლისათვის კანონით დადგენილ სასწავლო სამუშაო დღის გაგრძელების ხარჯზე.

მოწვევა სკოლის მუშაკების გაკვეთილების დაწყებამდე სკოლაში გაკვეთილებისათვის სასწავლო მასალის მოსამზადებლად და მორიგეობისათვის და მოსწავლეთა სკოლაში გამოცხადებაზე მეთვალყურეობისათვის შესაძლებელია მხოლოდ სკოლის მუშაკთა საერთო კრების დადგენილებით და არა სკოლის ადმინისტრაციის განკარგულებით.

საერთო კრების დადგენილებათა დარღვევის შემთხვევაში პროფკავშირის ადგილობრივი (სოფლის) კომიტეტები დადგენილების დამ-

რღვევთა მიმართ გამოიყენებენ საზოგადოებრივი ზემოქმედების სათანადო ზომებს.

**შენიშვნა:** I—IV კლასების და აგრეთვე უფროსი კლასების მასწავლებლები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს არიან კლასის ფასიანი ხელმძღვანელები, ვალდებულნი არიან თავის სამუშაო დღეებში სკოლაში გასწიონ მორიგეობა სკოლის ადმინისტრაციის მიერ დადგენილ საათებში თავისი საწარმოო სამუშაოს შესრულების წესით.

§ 22. ყოველკვირეული დასვენების დღით სარგებლობის დრო და წესი იმ მუშაკთათვის, რომელთა მუშაობა აუცილებელია არასამუშაო დღეებშიც (ცეცხლფარეში, დარაჯი, მეეზოვე) წესდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ შედგენილი და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მიერ დამტკიცებული სათანადო გრაფიკით. გამოუყენებელ დასვენების დღეების ნაცვლად მათ აუცილებლად მიეცემათ დასასვენებლად სხვა დღეები.

§ 23. მასწავლებლის მონაწილეობა სკოლის მიერ მოწვეულ სხვადასხვა კრებებზე და თათბირებზე წესდება სკოლის შინაგანაწესით.

აღნიშნული კრებები და თათბირები ტარდება მტკიცე კალენდარული გეგმის მიხედვით. სასკოლო ორგანიზაციების კრებები და თათბირები არ შეიძლება ტარდებოდეს გაკვეთილების ხარჯზე.

**შენიშვნა:** სკოლის პედსაბჭოს სხდომა მოიწვევა არანაკლებ ორისა სასწავლო მეოთხედის განმავლობაში, სასკოლო მშობელთა კრება არა ნაკრებ ერთისა სასწავლო მეოთხედში, საკლასო მშობელთა კრება—ერთხელ თვეში, საკლასო და მეთოდური საგნობრივი კომისიები სკოლაში და მასწავლებელთა ჯგუფური მეთოდური გაერთიანებანი ერთხელ თვეში..

§ 24 მეცადინეობა სკოლაში არ სწარმოებს კვირა დღეებში, არდადეგების დროს, 22 იანვარს, 1 და 2 მაისს, 7 და 8 ნოემბერს და 5 დეკემბერს.

§ 25. ადმინისტრაციის მიერ დაკისრება მუშაკებზე რაიმე სამსახურებრივი დავალებისა: სამუშაოდან თავისუფალ დროს, კვირა და რევოლუციურ დღეებში, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებულ სამუშაოებისა, — დაუშვებელია.

**შენიშვნა:** 1. საზამთრო, საგაზაფხულო და საზაფხულო არდადეგების დროს (შვებულების დაწყებამდე და შვებულების დამთავრების შემდეგ) შეიძლება მასწავლებელი მოწვეულ იქნას სამუშაოდ სკოლაში მათი სასწავლო დატვირთვის შესაბამისად.

**შენიშვნა:** 2. დაუსწრებლად და ექსტერნად მოსწავლე-მასწავლებელთათვის დადგენილია დეკადაში 4 საღამო (გარდა დასვენების დღეებისა) აბსოლუტურად თავისუფალი ყოველგვარი არასასწავლო დატვირთვისაგან სკოლაში და სკოლის გარეთ.

§ 26. სასწავლო დღის განმავლობაში პედაგოგებს ეძლევათ ათწუთიანი დასვენება პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე გაკვეთილის შემდეგ, ხოლო მეორე გაკვეთილის შემდეგ—30 წუთიანი შესვენება.

დანარჩენ მუშაკებისათვის დადგენილია 30 წუთიანი დასვენება სადილისათვის... დან..მდე

ძუძუმწოვარი ბავშვების პატრონ დედებისათვის, თანახმად შრომის კანონის კოდექსის 134 მუხლისა, დადგენილია დამატებითი დასვენება სამუშაო დროის ხარჯზე, ამ დასვენებების ანაზღაურებით ამ მუშაკის ხელფასის მიხედვით.

**შენიშვნა:** დასვენების ხანგრძლივობა მეორე და მესამე გაკვეთილის შემდეგ შეიძლება დადგენილ იქნას 20-20 წუთით.

§ 27. დასვენების დროს მოსწავლეებს მომსახურეობას უწევენ მორიგე მასწავლებლები. მორიგეების რაოდენობა და მორიგეობის წესი ყოველი დღისათვის წესდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ადგილკომთან შეთანხმებით.

§ 28. სკოლის დირექტორს (გამგეს) ეკისრება ერთპიროვნული სრული პასუხისმგებლობა სკოლაში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენებისათვის, სასწავლო რეჟიმისა და განაწესის დაცვისათვის აგრეთვე მთელი მეურნეობის მდგომარეობისა და საქმის წარმოებისათვის. სკოლის დირექტორს (გამგეს) ემორჩილება ამ სკოლაში ყველა მომუშავე პირი.

§ 29. სასწავლო ნაწილის გამგე სკოლის დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორი ორგა-

ნიზაციისთვის, თითოეული მასწავლებლის მიერ საქ. სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებულ სასწავლო გეგმის და პროგრამის შესრულებისათვის.

სასწავლო ნაწილის გამგე სკოლის დირექტორის არყოფნის დროს ასრულებს მის მოვალეობას.

§ 30. მასწავლებელი პასუხისმგებელია სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლის დირექტორის (გამგის) წინაშე მოსწავლეთა ცოდნის ხარისხისა, სასწავლო გეგმის და სასწავლო პროგრამების შესრულებისა, მოსწავლეთა წარმატებისა და კლასიდან კლასში გადაყვანისათვის და მოსწავლეთა სწორად აღზრდისა და დისციპლინისათვის.

მასწავლებლები ვალდებულნი არიან იქონიონ მუშაობის გეგმა და გულმოდგინედ ემზადონ თითოეული გაკვეთილისა და მეცადინეობისათვის.

§ 31. კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია ყოველდღიური მეთვალყურეობა გაუწიოს მოსწავლეთა სწავლებას და ყოფაქცევას, გაატაროს მოსწავლეთათვის სკოლის გარეშე ღონისძიებები და მოაწყოს საკლასო კრებები.

§ 32. სკოლის ბიბლიოთეკარი ვალდებულია სისტემატურად ავსებდეს ბიბლიოთეკას მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის და უზრუნველჰყოს წიგნის ფონდის სრული დაცვა; უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკის რეგულარულად მუშაობა, აწარმოოს წიგნების აღრიცხვა ბიბლიოთეკაში, დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს საკითხავ წიგნების შერჩევაში, ასწავლოს მათ ბიბლიოთეკით სარგებლობა: წარმართოს მოსწავლეთა კითხვის საქმე და მასწავლებელთან ერთად აწარმოოს მუშაობა ბავშვებთან წაკითხული წიგნების გარშემო.

სკოლის ბიბლიოთეკარი თავის მუშაობისათვის პასუხს აგებს სკოლის დირექტორის (გამგის) და სასწავლო ნაწილის გამგის წინაშე.

§ 33. მასწავლებლები, რომლებიც კაბინეტების გამგის მოვალეობას ასრულებენ, ვალდებული არიან აწარმოონ კაბინეტში სასწავლო ნივთების, ხელსაწყოების აღრიცხვა, მიიღონ ზომები კაბინეტის აუცილებელი მოწყობილობით შევსებისათვის და პასუხისმგებელნი არიან კაბინეტის სასწავლო ნივთების, ხელსაწყოების დაცვის საქმეში.

§ 34. პიონერ-მუშაკები, რომლებიც სკოლის კედლებში და სკოლის გარეთ ატარებენ ბავშვებთან მუშაობას, ემორჩილებიან სკოლის შინაგანაწესს.

§ 35. სკოლის მნეები პასუხისმგებელნი არიან სკოლის დირექტორის (გამგის) წინაშე სკოლის შენობისა და სასკოლო ქონების დაცვისათვის, მთელ სასკოლო შენობაში სამაგალითო სისუფთავისა და წესიერებისათვის, სკოლის წყლით და საწვავი მასალით უზრუნველყოფისა, სკოლის შენობის სასწავლო წლის დასაწყისისათვის დროულად მომზადებისა,— დამლაგებლების მუშაობის სწორი ორგანიზაციისა, ცხელი საუზმეების სწორად მოწყობისათვის და სხვა.

სკოლის მნე, სკოლის დირექტორის (გამგის) თანხმობით, აწარმოებს სკოლის თანხების ხარჯვას სამეურნეო საჭიროებისათვის და ამის შესახებ ანგარიშს აბარებს სკოლის დირექტორს (გამგეს).

სასკოლო ინტერნატების არსებობისას მნე უწევს მეთვალყურეობას მათ და უზრუნველჰყოფს მათ კულტურულ შენახვას და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას.

§ 36. სკოლის საქმისმწარმოებელი—მოანგარიშე ვალდებულია აწარმოოს საქმეები, ფულადი, მატერიალური და სტატისტიკური ანგარიშგება, სკოლის მიმდინარე მიწერ-მოწერა და მოსწავლეთა აღრიცხვა. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის (გამგის) წინაშე ფულადი დოკუმენტების, მოსწავლეთა დოკუმენტების, საინვენტარო წიგნების და სკოლის არქივის დაცვისათვის.

**შენიშვნა:** სკოლებში, სადაც ცალკე საანგარიშო დარგში მომუშავე (ბუხჰალტერი ან მოანგარიშე) არის, აღნიშნული ვალდებულებანი დირექტორის მიერ ნაწილდება საქმისმწარმოებელსა და მოანგარიშეს შორის.

§ 37. დამლაგებლები ვალდებულნი არიან ყოველდღიურად დაალაგონ სასკოლო შენობის მათთვის განკუთვნილი ფართობი, ექვსდღიურში ერთხელ გარეცხონ სკოლის იატაკები, განსაკუთრებით ადევნონ თვალყური

კოლის საპირფარეშოების სისუფთავეს; დაიცვან მოსწავლეთა ტანსაცმელი, უზრუნველყონ საკლასო ოთახების გაკვეთილებისათვის მომზადება (სამელნეებით, ცარცით, ჩვრით და სხვ.), გაკვეთილის დაწყების და დამთავრების შესახებ ცნობის მისაცემად დროულად დარეკონ ზარი, უზრუნველყონ მოსწავლენი და მასწავლებლები ნადუღი სასმელი წყლით, დასაბანი წყლით, სუფთად იქონიონ პირსახოცები, შეასრულონ (სამუშაო დროს) სკოლის საქმეებზე შიკრიკის მოვალეობა, თვალყური ადევნონ სკოლის ქონების დაცვას.

რემონტის შემდეგ სკოლის დალაგება-დასუფთავებისათვის დამლაგებლებს მიეცემათ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ცალკე გასამრჯელო.

**შენიშვნა:** 1. თუ სკოლაში არის ცალკე ტანსაცმლის შემნახველი, მოსწავლეთა ტანსაცმლის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება მას.

2. იატაკების სანთლით ან სხვა მასალით გაწმენდა არ შედის დამლაგებლის მოვალეობაში.

3. არდადეგების პერიოდში დამლაგებლებს სკოლის დირექტორები (გამგეები) ამუშავებენ ნორმალური სამუშაო დღის განმავლობაში.

§ 38. ცეცხლფარეშები ვალდებულნი არიან თავის დროზე და ნორმალურად გაათბონ სკოლის შენობა, მომჭირნეობით ხარჯონ საწვავი მასალა და აწარმოონ მისი ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა, თვალყური ადევნონ გათბობის სისტემის დაცვას, დროულად დასვან საკითხი სკოლის დირექტორის (გამგის) ან სკოლის მნეს წინაშე ღუმელების გაწმენდისა, მათი რემონტისა და საწვავი მასალის მოტანის შესახებ და გააფრთხილონ მოსალოდნელი ხანძრის შესახებ ღუმელების, ბუხრების და სხვათა მოუწესრიგებლობის გამო.

შეშის დახერხვა და დაჩეხა ცეცხლფარეშების მოვალეობაში არ შედის; ასეთი სამუშაოს შესრულებისათვის, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მას ეძლევა დამატებითი გასამრჯელო.

§ 39. მეეზოვეები ვალდებულნი არიან დაიცვან ეზოს და ფილაქნის (ტროტუარის) სისუფთავე, თვალყური ადევნონ სახურავების, ორმოების და ნაგვის ყუთების დროულად დასუფთავებას, დაიცვან ეზოს სამეურნეო ინვენტარი. აწარმოონ სკოლის ეზოში [illegible] საპირფარეშოების დეზინფექცია.

§ 40. ღამის დარაჯები მოვალე არიან დაიცვან სკოლის საწყობები და სადგომი გაძარცვისაგან და მიიღონ გამაფრთხილებელი ზომები ხანძრის წინააღმდეგ.—ღამის დროდ ითვლება დრო საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე (შრომის კან. კოდექს. მუხ. 96).

§ 41. სკოლის ყოველი მუშაკი ვალდებულია დაიცვას სკოლაში დაწესებული სასწავლო რეჟიმი და სანიტარულ-ჰიგიენური წესები.

## კატეგორიულად აკრძალულია:

1. სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ დამტკიცებული გაკვეთილების ცხრილის თავის შეხედულებისამებრ შეცვლა.

2. გაკვეთილების და დასვენების ხანგრძლივობის გაჭიანურება.

3. აღრიცხვისა და ანგარიშგების დადგენილი ფორმების შეცვლა.

4. საკლასო ჟურნალში, მოსწავლეთა დღიურებში და მოსწავლეთა რვეულებში ულაზათოდ და უსუფთაოდ წერა.

5. გაკვეთილების დროს კერძო პირების მიღება და მათთან საუბარი.

6. გაკვეთილის დროს, გარეშე საქმის გაკეთება (გაზეთის და წიგნის კითხვა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის დროს).

7. თამბაქოს მოწევა სკოლის შენობაში, გარდა ამისთვის სპეციალურად განკუთვნილი ადგილისა.

8. მოსწავლეებთან მეცადინეობის ჩატარება კლასებში და სკოლის სხვა შენობაში ზედა ტანსაცმელში (პალტოში).

§ 42. სკოლის ყველა მუშაკი ვალდებულია გაუფრთხილდეს სკოლის ქონებას და დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს (გამგეს) მისი გატეხის, გაფუჭების ან დაკარგვის შესახებ.

სასკოლო ქონებისადმი უყურადღებო და დაუდევარი დამოკიდებულებისათვის დამნაშავე პირი პასუხს აგებს სახელმწიფო ქონების

დაცვის შესახებ არსებული კანონის მიხედვით.

ადმინისტრაცრა ვალდებულია შეჰქმნას ნორმალური პირობები ტანთსაცმელის გასახდელში ტანისამოსის დაცვისათვის.

§ 43. ადმინისტრაციის ყველა კანონიერი მოთხოვნები და განკარგულებანი სავალდებულოა ყველა მუშაკისათვის და მათ წესიერად და დროულად შესრულება აუცილებელია.

§ 44. მომუშავეთა ურთიერთ-სამსახურებრივი და მოსწავლეებთან დამოკიდებულება უნდა ატარებდეს საქმიან ხასიათს.

§ 45. სკოლის ადმინისტრაციის მიერ სკოლის მუშაკების გამოყენება პირადი მომსახურეობისა და დავალებებისათვის, ან ისეთი სამუშაოსათვის, რომელიც არ შეადგენს მათ პირდაპირ მოვალეობას, დაუშვებელია.

§ 46. არავის არა აქვს უფლება მასწავლებელს გაკვეთილის მსვლელობის დროს გაუკეთოს შენიშვნა მუშაობის შესახებ, დაურღვიოს გეგმა და შეუცვალოს მუშაობის მიმდინარეობა.

გაკვეთილის დროს კლასში შესვლა დირექტორის (გამგის) ნებართვის გარეშე—აკრძალულია.

კერძო მომსვლელები გაკვეთილზე დაიშვებიან მხოლოდ სკოლის დირექტორის (გამგის) ნებართვით.

§ 47. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია დაიცვას მუშაკთა შრომის დაცვის შესახებ დადგენილი წესები: შენობაში, რომელშიაც მუშაობა სწარმოებს, დაიცვას სისუფთავე და უზრუნველჰყოს იგი ნორმალური ტემპერატურით არა ნაკლებ 15-გრ. და ვენტილაციით, მასწავლებელთა დასასვენებლად გამოჰყოს სპეციალური ოთახი—სამასწავლებლო სათანადო მოწყობილობით, იზრუნოს, რომ სამასწავლებლოში მუდამ იყოს გრაფინი ნადუღი სასმელი წყლით, პირისაბანი, საპონი და პირსახოცი; უზრუნველჰყოს საპირფარეშოების სათანადოდ მოვლა გასუფთავება.

§ 48. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია სკოლის მასწავლებლები უზრუნველჰყოს აუცილებელი სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით, გაზეთებით და მეთოდური ლიტერატურით. ხოლო დამლაგებლები შენობის დალაგებისათვის აუცილებელი მოწყობილობით და სპეცტანსაცმელით.

§ 49. სკოლის დირექტორი (გამგე) და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი ვალდებულნი არიან გულისხმიერად მოეპყრან მუშაკების ყოველდღიურ საჭიროებას, მიიღონ ზომები ბინით მათი უზრუნველყოფისათვის, იზრუნონ მათ დასვენებასა, მკურნალობაზე და სხვა, ზუსტად აღრიცხონ თითოეულის მუშაობა, დაეხმარონ მუშაობაში გამოუცდელ მუშაკებს.

§ 50. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია:

ა) პროფორგანიზაციასთან ერთად აქტიურად უხელმძღვანელოს სოციალისტურ შეჯიბრებას,

ბ) ყოველნაირად წაახალისოს სკოლის საუკეთესო მუშაკები და უზრუნველჰყოს მათი გამოცდილების გავრცელება.

§ 51. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია მუშაობის დროს ავად გამხდარი თანამშრომელი სკოლის ხარჯზე გადაიყვანოს მახლობელ სამკურნალო დაწესებულებაში.

§ 52. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს საწარმოო თათბირებს, სამი დღის ვადაში განიხილოს მასწავლებლებისა და სხვა მუშაკებისაგან შემოსული წინადადებები, მიმართული სკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად. მასწავლებელთა წინადადებების ჩასაწერად შემოღებულ უნდა იქნას ცალკე წიგნი.

## IV. ხელფასის გაცემა

§ 53. ხელფასის გაცემა ხდება შემდეგ ვადებში:

ა) ქალაქის მასწავლებლებზე 1-ლი და 16 რიცხვებში;

ბ) სოფლის მასწავლებლებზე (ერთხელ თვეში) 20 რიცხვში;

გ) სამეურნეო და მომსახურე პერსონალზე . . . . . .

ხელფასის გაცემა ხდება არა სამუშაო დროს. ადმინისტრაცია ვალდებულია ხელფასის გაცემა უზრუნველჰყოს უშუალოდ სკო-

ლაში მუშაობის დაწყებამდე, ან დამთავრების შემდეგ.

## V. შვებულებები

§ 54. სკოლის დირექტორებს (გამგეებს), სასწავლო ნაწილის გამგეებს, მასწავლებლებს და პიონერ მუშაკებს ეძლევათ ყოველწლიურად შვებულება—48 სამუშაო დღით, ბიბლიოთეკარებს—24 სამუშაო დღით.

ნორმალური სამუშაო დღით მუშაკებად ითვლებიან (ჩამოითვალოს თანამდებობა). . .

აღნიშნულ მუშაკებს მიეცემა შვებულება . . . . სამუშაო დღის ხანგრძლივობით; დანარჩენ მუშაკებს ეძლევა შვებულება 12 სამუშაო დღის ხანგრძლივობით.

§ 55. შვებულების ცხრილი დგება სკოლის ადმინისტრაციის მიერ, მტკიცდება საკონფლიქტო კომისიის მიერ და წინასწარ ეცნობება სკოლის მუშაკებს.

## VI. სასჯელის დადება სკოლის შინაგანაწესის დარღვევისათვის

§ 56. შრომის დისციპლინის დაცვა და მის დამრღვევთა წინააღმდეგ ზომების მიღებისათვის პერსონალურად პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს (გამგეს), რომელსაც უფლება აქვს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დაადოს დადგენილი სასჯელი.

§ 57. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მუშაკებს დაედება შემდეგი სასჯელი:

1. შენიშვნა;
2. საყვედური;
3. საყვედური გაფრთხილებით დათხოვნის შესახებ;
4. გადაყვანა სხვა, უფრო მცირე ხელფასიან სამუშაოზე 3 თვის ვადით, ან ჩამოქვეითება უფრო დაბალ დანამდებობაზე;
5. დათხოვნა.

**შენიშვნა:** მასწავლებელთა გადაყვანა და დათხოვნა სწარმოებს სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1936 წლის 10 აპრილის დადგენილებით და საქ. სსრ განსახკომის და საქ. დაწყ. და საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტ. კ-ის ა/წ 5/VI-ის საინსტრუქციო წერილში გათვალისწინებული წესის დაცვით.

§ 58. „სამუშაოზე დაგვიანება, სადილად ნაადრევად წასვლა, ნასადილევს დაგვიანებით მოსვლა, საწარმოდან ნაადრევად წასვლა, აგრეთვე სამუშაო დროს უსაქმობა—ყოველივე ეს წარმოადგენს შრომის დისციპლინის უაღრესად უხეშ დარღვევას, კანონის დარღვევას, რომელიც იწვევს ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ძირის გამოთხრას"—(1-ლი მუხლი სსრკ სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საკ. პროფსაბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებისა).

§ 59. მუშაკს, რომელმაც დაუშვა სამუშაოზე დაგვიანება საპატიო მიზეზის უქონლად, რაც 20 წუთს არ აღემატება, ან ნაადრევად წავიდა სადილად, ან ნასადილევს დააგვიანა მოსვლა, ან ნაადრევად წავიდა სკოლიდან, ან რომელიც უსაქმურობდა სამუშაო დროს, ადმინისტრაციის მიერ დაედება სასჯელი.

§ 60. მუშაკი, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში დაუშვა სამი ასეთი დარღვევა, ან ოთხი დარღვევა ორი თვის განმავლობაში ზედიზედ (§ 59), ან რომელმაც დაუშვა საპატიო მიზეზის უქონლად დაგვიანება 20 წუთზე ზევით, დაუყოვნებლივ მიეცემა პ/გებაში სათანადო უბნის სახალხო სასამართლოზე გადაცემით.

თუ უნებართვოდ სამუშაო დასტოვა, ან საპატიო მიზეზის უქონლად სამუშაო გააცდინა: სასწავლო ნაწილის გამგემ, მასწავლებელმა, ან სკოლის სხვა მუშაკმა, სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია დამნაშავის სამართალში მიცემის მიზნით საქმე ყველა მასალით დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს სათანადო უბნის სახალხო სასამართლოს.

დაწყებითი სკოლის გამგის, ა/ს საშუალო სკოლის, ან საშუალო სკოლის დირექტორის იმავე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, განათლების განყოფილება ვალდებულია დამნაშავის პ/გებაში მიცემის მიზნით საქმე დაუყოვნებლივ სათანადო უბნის სახალხო სასამართლოს გადასცეს.

§ 61. სასჯელის დადება შეიტანება განკარგულებათა წიგნში და აუცილებლად ხელწერილის ქვეშ დადებული სასჯელის შესახებ ეცნობება მუშაკს.

**შენიშვნა 1**: სასჯელის დადება დაუსწრებლად, მუშაკის პირადი ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე დაუშვებელია.

**შენიშვნა 2**: დაუშვებელია სკოლის ადმინისტრაციის მიერ სასჯელის დადება ჩადენილი დანაშაულის გამომჟღავნების დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

§ 62. თუ სასჯელის დადების,—გაფრთხილების, საყვედურის ან სასტიკი საყვედურის გამოცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში, მასწავლებელმა ან სკოლის სხვა მუშაკმა არ დაუშვა შრომის დისციპლინის ახალი დარღვევა, მაშინ სკოლის დირექტორი (გამგე) ხსნის მის მიერ დადებულ სასჯელს. თუ მუშამ ან მოსამსახურემ არ დაუშვა შრომის დისციპლინის ახალი დარღვევა და ამასთან გამოავლინა თავი, როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა, სკოლის დირექტორს (გამგეს) შეუძლია მის მიერ დადებულ სასჯელის მოხსნა ერთი წლის გასვლამდეც.

§ 63. დირექტორის მიერ დადებული სასჯელი შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მომუშავის მიერ ადმინისტრატიული წესით ან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში—სახალხო სასამართლოში.

§ 64. გაცდენისათვის, შინაგანაწესის დარღვევისათვის ან სხვა მიზეზის გამო მომუშავის დათხოვნის შემთხვევაში, დათხოვნის ნამდვილი მიზეზი აუცილებლად შეიტანება მუშაკის შრომის წიგნაკში, რაც ჩამოყალიბებულ უნდა იქნას ზუსტად შრომის კანონთა კოდექსის ფორმულირების შესაბამისად ან დათხოვნის საფუძვლად უნდა იქნეს დასახელებული—შრომის კანონთა კოდექსის სათანადო მუხლი და პუნქტი.

§ 65. შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, აგრეთვე სამუშაოს გამცდენთა, ფრენიათა და დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის დამნაშავენი—სკოლის დირექტორები (გამგეები) სათანადო განათლების განყოფილებათა და პროფკავშირის ორგანოების მიერ პასუხისგებაში მიეცემიან სამსახურიდან მოხსნამდე და სასამართლოზე გადაცემამდეც.

§ 66. სკოლაში ჩადენილი სკოლის კუთვნილი ქონების მოპარვისათვის, მუშაკი მიეცემა სასამართლოს პასუხისგებაში სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წ. 10 აგვისტოს ბრძანებულებისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

§ 67. სკოლაში ხულიგნური მოქმედებისათვის მუშაკი მიეცემა სასამართლოს პასუხისგებაში სსრკ· უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 10 აგვისტოს ბრძანებულების და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

---

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4636

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წ. „6“ ოქტომბერი**

1942 წლის ქსელის კონტიგენტის, ფინანსირებისა და საწარმოო გეგმების მაღალ მაჩვენებლებით და დროულად დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დირექტორებმა წარმოადგინონ მიმდინარე წლის არა უგვიანეს 1 დეკემბრისა ხარჯთაღრიცხვების და საწარმოო გეგმების პროექტები 1942 წლისათვის.

2. განსახკომის სამმართველოების უფროსებმა სამართველოს ცენტრალიზებულ ღონისძიებათა გეგმები—სათანადო ხარჯთაღრიცხვებისპროექტებით 1940 წ. 20 ოქტომბრისათვის.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ 15 ოქტომბრისათვის · დაამთავროს ქსელისა და კონტიგენტის გეგმების 1—ვარიანტის დამუშავება.

4. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ ა/წ 15—ოქტომბრისათვის შეადგინოს

კაპიტალური მშენებლობის გეგმები რაიონებისა და ობიექტების მიხედვით.

5. 1942 წლის დაზუსტებულ გეგმის შესადგენად აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქისა და ყველა რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების განათლების განყოფილებებმა უზრუნველყონ გეგმების პროექტების წარმოდგენა განსახკომში დადგენილ ფორმებით შემდეგ ვადებში:

| | | |
|---|---|---|
| აბაშის და სამტრედიის რაიონებმა . . . . . . . . . | 16 | ოქტომბერს |
| ტყიბულის და ფოთის რაიონებმა . . . . . . . . . | 17 | „ |
| მახარაძის და ლანჩხუთის რაიონებმა . . . . . . . . . | 18 | „ |
| საგარეჯოს და ვანის რაიონებმა . . . . . . . . . | 20 | „ |
| ცხაკაიას და ჩხარის რაიონებმა . . . . . . . . . | 21 | „ |
| წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონებმა . . . . . . . . | 22 | „ |
| ხობისა და ზუგდიდის რაიონებმა . . . . . . . . . | 23 | „ |
| ზესტაფონის და მცხეთის რაიონებმა . . . . . . . . . | 24 | „ |
| ორჯონიკიძისა და მაიაკოვსკის რაიონებმა . . . . . . . | 25 | „ |
| ქ. ქუთაისი და ქუთაისის რაიონებმა . . . . . . . . | 27 | „ |
| წყალტუბოს და წულუკიძის რაიონებმა . . . . . . . . | 28 | „ |
| ყაზბეგისა და ყარაიაზის რაიონებმა . . . . . . . . . | 29 | „ |
| ქ. ჭიათურის და ჭიათურის რაიონებმა . . . . . . . . . | 30 | „ |
| ჩოხატაურის და საჩხერის რაიონებმა . . . . . . . . . | 31 | „ |
| ხაშურისა და ბორჯომის რაიონებმა . . . . . . . . . | 1-ლ | ნოემბერს |
| ასპინძის და გეგეჭკორის რაიონებმა . . . . . . . . . | 2 | „ |
| გურჯაანის და თიანეთის რაიონებმა . . . . . . . . | 3 | „ |
| ქვ. სვანეთის და ზემოსვანეთის | 4 | „ |
| ცაგერის და წითელი წყაროს | 5 | „ |
| თელავის და ადიგენის რაიონებმა . . . . . . . . . | 10 | „ |
| ბოგდანოვკის და ბაშკიჩეთის | 11 | „ |
| ონის და ყვარელის — . . . | 12 | „ |
| ქარელის და თბილისის— . . | 13 | |
| თეთრი წყაროს და კასპის — . | 14 | |
| ახალციხის და ბორჩალოს — . | 15 | |
| ამბროლაურის და გორის . რაიონებმა . . . . . . . | 17 | „ |
| ლაგოდეხის და წალკის რაიონებმა . . . . . . . | 18 | „ |
| სიღნაღის და დუშეთის — . . | 19 | „ |
| ახალქალაქის და ლუქსენბურგის რაიონებმა . . . . . | 20 | „ |
| ქ. თბილისი — . . . . . . . | 21 | „ |
| აფხაზეთის ასსრ . . . . . . | 24 | „ |
| აჭარის ასსრ . . . . . . . | 26 | „ |
| ს. ოსეთის ავტ. ოლქმა . . | 29 | „ |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. ქსელისა და კონტიგენტის გეგმების დამუშავებას საფუძვლად დაედვას მიმდინარე წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული ქსელი და კონტიგენტი—ჩატარებულ გამოკვლევების საფუძველზე.

7. ვაფრთხილებ ყველა რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს და რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ უმაღლეს სასწავლებლების დირექტორებს, რომ ქსელსა და კონტიგენტში, 5 ოქტომბრის მდგომარეობასთან შედარებით, ცვლილებები შეტანილი არ იქნება.

ამ რიცხვისათვის დამთავრდეს დაწყებითი, არასრული საშუალო სკოლებისა და კადრების მოსამზადებელ საშუალო და უმაღლეს ტიპის სასწავლებლების მოსწავლეებით სრული დაკომპლექტება.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ უზრუნველყოს, როგორც რესპუბლიკურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტების 1—ვარიანტისა და დაზუსტებულ გეგმების რაიონების მიხედვით დამუშავება მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში.

9. რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებმა ზემოთ მოცემულ ვადაში წარმოადგინონ ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯთაღრიცხვები.

1. სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა განიხილონ და წარმოადგინონ კოლეგიაზე დასამტკიცებლად არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ნოემბრისა მათ ქვემდებარე დაწესებულებათა სამეცნიერო თემატიკისა და საგამომცემლო გეგმები დადგენილ ფორმებით.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**

**გ. კიკნაძე**

ვამტკიცებ

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე

მ. ბურ[illegible]

1941 წ. 28/8

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეთოდური მითითებანი

## სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში გამოფენის მოწყობის შესახებ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით

ჩვენს სამშობლოზე ჰიტლერული გერმანიის მუხანათურ თავდასხმასთან დაკავშირებით საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა მოწოდებით მიმართა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ყველა მუშაკს.

ამ მოწოდებაში დასახულია ის საბრძოლო ამოცანები, რომელთა განსახორციელებლად უნდა იბრძოლონ პოლიტგანდაწესებულებებმა, რათა ღირსეულად შეასრულონ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, თავდაცვის სახალხო კომისრის, დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანა—ყველაფრის ფრონტის ინტერესებისათვის დამორჩილების შესახებ.

ამ მოწოდების თანახმად, „მუზეუმებმა თავიანთი ექსპოზიციები უნდა მიუძღვნან საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ამოცანათა პროპაგანდას. ამ ექსპოზიციებმა უნდა ასახონ გერმანელ-ფაშისტური ყაჩაღების თავდასხმის საპასუხოდ აზვირთებული საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმის ტალღა, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბოლშევიკური მზადყოფნა ფრონტზე მტრის დაუნდობლად განადგურებისათვის და ზურგის დასაცავად. მუზეუმებმა უნდა უჩვენონ მოსახლეობას ჩვენი ხალხის გმირული წარსული და მისი თანამედროვე თავდაცვითი ძლიერება, უჩვენონ დაუღალავი შრომით მოპოვებული საწარმოო წარმატებანი, შრომის გმირები და მტრის გამანადგურებელი საბჭოთა მამაცი მებრძოლნი“.

ამ ამოცანათა შესაბამისად საქ. რესპუბლიკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებმა უნდა გარდაქმნან თავიანთი სოცმშენებლობის განყოფილების გამოფენის ის ნაწილი, რომელიც ასახავს თემას: „სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობაა“. ხოლო იმ მუზეუმებმა, რომელთაც ასეთი გამოფენა არა აქვთ, ახლად უნდა მოაწყონ დიდი სამამულო ომთან დაკავშირებული გამოფენა.

ამ გამოფენის მოკლე სქემატური (სანიმუშო) გეგმა მუზეუმებისათვის ასეთი უნდა იყოს:

გამოფენა „ფაშისტური გერმანიის თავდასხმა სსრ კავშირზე და საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“ შემდეგი სამი განაყოფით:

ა) საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი და მისი ამოცანები;

ბ) ჩვენი სამშობლოს გმირული წარსული;

გ) სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება და ზურგის სიმტკიცე.

პირველი განაყოფის ქვეთემების მასალები (ლოზუნგები, ფოტო, დოკუმენტები, ნახატები, პლაკატები, ექსპლიკაციები და სხვ.) უნდა ძირითადად ამოღებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის 1941 წ. ივნისის 22 და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის 1941 წ. ივლისის 3-ის მოწოდებიდან. ამ განაყოფის შესავალ სტენდზე მოცემულ უნდა იქნას სისხლიანი ფაშიზმის დახასიათება. ხაზგასმით უნდა იქნას ნაჩვენები, რომ ფაშიზმი არის პერმანენტული ომი, რომ ის არის მეორე იმპერიალისტური ომის გამჩაღებელი, კულტურისა და მეცნიერების უბოროტესი მტერი და სხვ.

ლოზუნგებისა და ექსპლიკაციებისათვის საჭირო მასალა ამოღებულ უნდა იქნას ი. ბ. სტალინის საანგარიშო მოხსენებიდან პარტიის მე-18 ყრილობაზე და. გ. დიმიტროვის გამოსვლებიდან კომინტერნის მე-7 კონგრესზე, 2 აგვ. 1935 წ.

შემდეგ ფარზე უნდა გამოიფინოს სსრ კავშირისა და გერმანიას შორის 1939 წ. დადებული მშვიდობიანობის პაქტის ტექსტი და მისი მუხანათური დარღვევა ცბიერი და ვერაგი ჰიტლერის ბანდების მიერ 1941 წ. ივნისის 22-ს (ექსპლიკაციები ამოიღეთ მოლოტოვისა და სტალინის სიტყვებიდან).

მომდევნო ფარი უნდა მიეძღვნას მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანების ასახვას.

ამ ფარის წამყვანი ლოზუნგი უნდა იყოს: „ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს“ (სტალინი). ამ ფარზე უნდა გამოიფინოს სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალების მობილიზაციის ამსახველი მასალები, ჰიტლერული ყაჩაღების საპასუხოდ აზვირთებული საბჭოთა ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის, პატრიოტიზმის ტალღა, თავდაცვის სახელმწიფო ფონდის შექმნა; მტრის გამანადგურებელი საბჭოთა მამაცი მებრძოლნი, პარტიზანული ბრძოლის გაშლა მტრის ზურგში და სხვ. (მხარეთმცოდნეობის მუზეუმებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივი მასალის გამოყენებას). აქვე უნდა იქნას წარმოდგენილი მთავრობის განკარგულებები, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრთა (სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, მალენკოვი, ბერია) და აგრეთვე საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მთავარსარდლების (ვოროშილოვი, ტიმოშენკო, ბუდიონი) პორტრეტები (ფოტო-სურათები), ინგლისთან დადებული ხელშეკრულება, ამერიკის პრეზიდენტის რუზველტისა და ინგლისის პრემიერის ჩერჩილის წერილი ამხანაგ სტალინისადმი, საერთო თავდაცვითი ღონისძიებათა შემუშავების შესახებ. სრულიად სლავური და ებრაელთა მიტინგი მოსკოვში, სამხედრო შეთანხმება პოლონეთისა და ჩეხო-სლოვაკიის მთავრობებთან და სხვ.

აქვე უნდა აისახოს ფოტო დოკუმენტებით წითელი არმიის, წითელი ფლოტის სტალინური შევარდნების და საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა გმირობის, სიმამაცის, ინიციატივისა და გამჭრიახობის მაჩვენებელი ცალკეული ეპიზოდები.

ცალკე სტენდზე უნდა გამოიფინოს ის მასალები, რომლებიც ასახავენ ფაშისტ-ოკუპანტების ქუსლ ქვეშ მგმინავ ევროპის ხალხებს. გამოიფინოს ფოტო-მასალები და ამონაწერები ჟურნალ-გაზეთებიდან: საფრანგეთის, პოლონეთის, ბელგიის, დანიის, ჩეხიის, სერბიის, რუმინეთის, საბერძნეთის, ნორვეგიის და სხვ. შესახებ. ამ სტენდის წამყვანი ლოზუნგი უნდა იყოს: „ამ საყოველთაო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ“ (სტალინი).

მეორე განაყოფი უნდა წარმოგვიდგენდეს ჩვენი სამშობლოს გმირულ წარსულს. აქ უნდა აისახოს ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული ამბები, როგორიცაა ალექსანდრე ნეველის მიერ ტევტონთა „ძაღლ-რაინდების“ განადგურება 1242 წ. ჩუდის ტბაზე, გენიალური რუსი სარდლის ალ. ვას. სუვოროვის (1730—1800) ხელმძღვანელობით მოპოვებული რუსის ჯარის გამარჯვებანი, (ფრიდრიხ II არმიის დამარცხება კუნერსდორფთან 1759 წ.; გამარჯვება რიმნიკთან (1789), იზმაილის ციხის აღება იერიშით (1790), შვეიცარიის ალპებზე გადასვლა და სხვ.); ბერლინის აღება რუსის ჯარის მიერ 1760 წ.; პირველი სამამულო ომი 1812 წ. სუვოროვის მოწაფე მხედართმთავრები—სამამულო ომის მონაწილენი: კუტუზოვი, ბაგრატიონი და სხვ. ნაჩვენები უნდა იქნას რუსის ჯარის გმირობა პირველ იმპერიალისტურ ომში 1914—1918, კერძოდ „ბრუსილოვის გარღვევა“ (ლუცკთან) სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე: ვილჰელმის ჯარის განადგურება 1918 წ. უკრაინაში; ცარიცინის დაცვა იუდენიჩის, დენიკინის, ვრანგელის, თეთრპოლონელებისა და ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს სხვა მტრების განადგურება. სტენდის ბოლოს მოცემული უნდა იყოს ხასანის ბრძოლის გმირული ეპიზოდები და თეთრფინელებთან ბრძოლის მასალები (იერიში ვიბორგზე და სხვ.).

ამავე სტენდზე უნდა გამოიფინოს, როგორც ძველ მხედართმთავრების (ალექსანდრე ნე-

ველი, სუვოროვი, კუტუზოვი, ბაგრატიონი), ისე ჩვენი ქვეყნის ბელადების წითელი არმიის ორგანიზატორების (ფოტო) სურათები: ამხ. ამხ. ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის, ფრუნზეს, ვოროშილოვის და ბუდიონის; აგრეთვე სახალხო გმირების: ჩაპაევის, ლაზოს, შჩორსის, კოტოვსკის, პარხომენკოს, კიკვიძის და სხვ.

ამავე სტენდის ერთი ნაწილი უნდა დაეთმოს ქართველი ერის გმირული წარსულის და შესანიშნავი სარდლების და სახალხო გმირების ჩვენებას. უნდა აისახოს მარაბდის, ასპინძის და კრწანისის ბრძოლები (გიორგი სააკაძის და ერეკლე II-ის ფოტოსურათები და სხვ.) სტენდი უნდა დასრულდეს ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლ, სამშობლოს მცველ რაინდების, საბჭოთა კავშირის გმირების:— ზდოროვცევის, ჟუკოვის, ხარიტონოვის, გასტელოს, კაპიტან წურწუმიას, მაიორ ლებანიძის და სხვ. ფოტო-სურათების ჩვენებით.

მესამე განაყოფი-სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება და ზურგის სიმტკიცე. ამ განაყოფის წამყვანი ლოზუნგი უნდა იყოს: „ჩვენი ძალები აურაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში“ (სტალინი).

აქ წარმოდგენილი მასალები უნდა ასახავდნენ წითელი არმიის დასახმარებლად აღმდგარ ხალხის მილიონიან მასებს, მოსკოვის და ლენინგრადის მრავალათასიან სახალხო ლაშქარს. აქვე უნდა ვუჩვენოთ ყველაფერი, რაც კეთდება სსრ კავშირსა და ჩვენს მხარეში წითელი არმიის ზურგის განსამტკიცებლად (საწარმოების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების გაძლიერებული მუშაობა, დაუღალავი შრომით მოპოვებული საწარმოო წარმატებანი, საჰაერო ქიმიურ და სანიტარულ თავდაცვის წრეების მოწყობა და მუშაობა და სხვ.) გამოიფინოს მდიდარი მოსავლის უდანაკარგოდ დროზე აღების ინიციატორების, შრომის გმირების, საბჭოთა პატრიოტების ფოტო სურათები, მათი საწარმოო წარმატების მაჩვენებელი ციფრობრივი მასალებით.

ეს განაყოფი უნდა თავდებოდეს შემდეგი ლოზუნგით: „მთელი ჩვენი ძალები— ჩვენი გმირი წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად. ხალხის მთელი ძალები მტრის გასანადგურებლად. წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის“ (სტალინი)

**საქ. სსრ განსახკომის პოლიტგანმუშაობის სამმართველოს უფროსი ა. გაგიხონია**

---

## აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებს, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო და საქალაქო განყოფილებებს, ყველა პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-24 წლისთავს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს მეტისმეტად დაძაბულ მდგომარეობაში, როდესაც პირსისხლიანი გერმანელ-ფაშისტური არმიის ვერაგულმა თავდასხმამ სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა საბჭოთა ხალხის თავისუფლება, მისი კეთილდღეობა, მისი სიცოცხლე.

ვერაგ მტერთა ბრძოლამ ფეხზე დააყენა მთელი საბჭოთა ხალხი, საომარ ყაიდაზე გარდაქმნა მთელი ჩვენი ცხოვრება. ჩვენი მამაცი მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები იარაღით ხელში თავგანწირვით იცავენ გათავხედებულ მტრისაგან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვარს—ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასა და კეთილდღეობას. მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებულად იბრძვის ზურგის გასამაგრებლად, ფრონტის დასახმარებლად.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში, როდესაც გაафთრებული ფაშისტი მტაცებლები, მიუხედავად უდიდესი ზარალისა მაინც წინ მოძვრებიან და ემუქრებიან ჩვენი სამშობლოს სასიცოცხლო ცენტრებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის აღნიშვნა.

დიდი ოქტომბრის მე-24 წლისთავის აღსანიშნავ დღეებში განსაკუთრებული ძალით უნ-

და გაიშალოს მშრომელთა ფართო მასაში პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სააგიტაციო-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა განუმარტონ მოსახლეობას ჩვენი სამშობლოს წინაშე მდგომი საფრთხის მთელი სიღრმე, ხელი შეუწყონ მშრომელთა მასების დარაზმვას დიდი სამამულო ომის ამოცანების ირგვლივ, მასების სიფხიზლის შემდგომ ამაღლებას, მათი მზადყოფნის გაძლიერებას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვართა დასაცავად.

ყოველდღიური პოლიტიკური ინფორმაცია, პარტიის, მთავრობისა და თავდაცვის ორგანოების ღონისძიებათა ახსნა-განმარტება, საუბრებისა და ლექციების ჩატარება სამამულო ომის ამოცანების შესახებ, რადიო-გადაცემათა კოლექტიური მოსმენის ორგანიზება, ძირეული ბეჭდვითი სიტყვა, ყველა სახის სამხედრო-თავდაცვითი და სააგიტაციო-მასობრივი ღონისძიებანი ფართოდ უნდა გამოიყენონ საკლუბო საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებებმა თითოეული მშრომელისათვის იმის ნათელსაყოფად, რომ ამ ომში, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავზე მოახვიეს, „საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს“ (სტალინი). მკაფიო, დამაჯერებელი, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი სააგიტაციო მასობრივი მუშაობის გაშლით პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა მშრომელთათვის ნათელი უნდა გახადონ ის, რომ ფაშისტი მტაცებლები დამარცხდებიან, მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“ (მოლოტოვი).

მაგრამ გამარჯვება თავისთავად არ მოდის, იგი უნდა მოვიპოვოთ; ეს კი თითოეული საბჭოთა მოქალაქისაგან მოითხოვს უდიდეს ორგანიზებულებას, დისციპლინას, ყოველგვარი მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნას, იმას, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება დავუმორჩილოთ ერთ მიზანს—მტრის უკუგდებას, მის განადგურებას. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელი მუშაობა უნდა იყოს ქმედითი და გასაგები, იგი აგებული უნდა იყოს ცოცხალ და კონკრეტულ ფაქტებზე, ხელს უნდა უწყობდეს მტრის მზაკვრული მიზნებით გავრცელებულ პროვოკაციული და პანიკური ხმების გაფანტვას, ზურგის ყოველ მხრივად განმტკიცებას.

მასობრივ პოლიტსაგანმანათლებლო ღონისძიებათა გატარებაში საკლუბო საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ სოფლის ყველა მოწინავე ძალები, პირველ რიგში მასწავლებლები, და ოქტომბრის რევოლუციის მე-24 წლისთავის აღსანიშნავი მუშაობა ჩაატარონ გაცილებით უფრო ფართოდ, გაცილებით უფრო ღრმად, უფრო მასობრივად და ეფექტიურად, ვიდრე ოდესმე.

გამომდინარე აქედან, ყველა საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებას ევალება:

1. ჩაატაროს სათანადო მოხსენებები და ლექციები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24 წლისთავის აღსანიშნავად.

2. ჩაატაროს საუბრები და ხმამაღალი კითხვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის, სოციალისტური მშენებლობის მიღწევებისა და მიმდინარე სამამულო ომის საკითხებზე. ეს მუშაობა დაუკავშიროს პარტიის მთავრობისა და თავდაცვის ორგანოების დადგენილებათა და ღონისძიებათა (თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნა, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 15 ივლისის ბრძანებულება „მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში: პოლიტიკური პროპაგანდის ორგანოების რეორგანიზაციისა და სამხედრო კომისართა ინსტიტუტის შემოღების შესახებ“, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის მოქალაქეთა სამხედრო საქმის საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ“ და სხვა) ფართო პოპულარიზაციასა და ახსნა-განმარტებას.

3. გაშალოს საცნობო-საკონსულტაციო მუშაობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის საკითხზე, ამ საქმეში კულტაქტივის ფართოდ ჩაბმით.

4. მოაწყოს თემატურად შერჩეული ლიტერატურის გამოფენა. შეადგინოს და თვალსაჩინო ადგილებზე გამოჰკიდოს ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სამამულო ომის საკითხებზე.

5. მოაწყოს დიდი ოქტომბრის 24 წლისთავისა და მიმდინარე სამამულო ომისადმი მიძღვნილი გამოფენა თემატურად შერჩეული წიგნების, ჟურნალების, ფოტოსურათების, საგაზეთო ამონაჭრების, პლაკატების, აგიტფურცლების, სათანადო სამეურნეო ექსპონატების და სხვა მასალის გამოყენებით. გამოფენაში შესაძლოა წარმოდგენილი იქნას შემდეგი განყოფილებები: ა) **ლენინის** და **სტალინის** როლი დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში; ბ) სამოქალაქო ომი და ინტერვენცია; გ) სოციალისტური მშენებლობის მიღწევები სამი სტალინური ხუთწლედის მანძილზე; დ) ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმა სსრ კავშირზე და საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი.

6. გააძლიეროს თავდაცვითი-ფიზკულტურული და სამხედრო თავდაცვითი წრეების მუშაობა და უზრუნველჰყონ ნორმების ჩაბარება ნიშნებზე: მშთ, მსო, სთ, სქთ, ვმ და სხვ.

7. მოაწყოს რადიო-გადაცემების კოლექტიური მოსმენა.

8. მოაწყოს თემატურად შერჩეული კინოფილმების დემონსტრირება სათანადო ახსნაგანმარტებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. გამოსცეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის თარიღისა და სამამულო ომისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

10. მოაწყოს საღამო სათანადო მოხსენებითა და მხატვრული განყოფილებით და ექსკურსიები მუზეუმებში გამართული გამოფენების დასათვალიერებლად.

სახალხო განათლების განყოფილებებს ევალებათ მოამარაგონ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებები ბროშურებით, პლაკატებით ლოზუნგებითა და აგიტფურცლებით, მოაწყონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მოწინავე გამოცდილების გაზიარება და მათზე ოპერატიული ხელმძღვანელობით უზრუნველჰყონ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა საგიტაციო-მასობრივი და თავდაცვითი მუშაობის მკვეთრად გაძლიერება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის
მოადგილე მ. ბურჭულაძე**

**პოლიტგანმუშაობის სამმართველოს
უფროსის მოადგილე ფ. თოფურიძე.**

7—X—1941 წ.
№ 658

---

## აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო (საქალაქო) განყოფილებებისა და ყველა პოლიტსავანმანათლებლო დაწესებულებათა გამგეებს.

დღითი-დღე სულ უფრო მეტი გამძაფრებით სწარმოებს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს მოახვია ჰიტლერის გერმანიამ. ისტორიას არ ახსოვს ისეთი გრანდიოზული და სასტიკი ბრძოლები, როგორიც გაჩაღდა თვალუწვდენელ ფრონტზე ყინულოვანი ოკეანედან შავ ზღვამდე.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმია მძლავრსა და გამანადგურებელ წინააღმდეგობას უწევს გათავხედებულ მტერს. დღითი—დღე იზრდება ჩვენი ძალები, რადგან ჩვენ გვაქვს ულეველი რეზერვები, რადგან დიდია და ურყევია საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი, უსაზღვროა ჩვენი მებრძოლების, წითელფლოტელების, ტანკისტების, მფრინავ შევარდნების სიმამაცე და თავდადება.

ვერაგ მტერზე გამარჯვება მოითხოვს ჩვენი აურაცხელი ძალებისა და რეზერვების მობილიზაციას, ჩვენი ორგანიზებულობის, სიმტკიცისა და სიფხიზლის ყოველმხრივად გაძლიერებას.

ამხანაგი სტალინი 3 ივლისს რადიოთი გადაცემულ სიტყვაში ამბობდა:

„ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ

მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს“.

მთელ საბჭოთა ქვეყანაში გაიშალა თავდადებული ბრძოლა ამხანაგ სტალინის მითითებათა შესასრულებლად. სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე, სოციალისტური სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში მთელი საბჭოთა ხალხი საგმირო საქმეებით გამოხატავს თავის სიყვარულსა და ერთგულებას სამშობლოსადმი, პარტიისადმი, ამხანაგ სტალინისადმი.

მთელი საბჭოთა ხალხი ცხოვრობს დღეს ერთი მისწრაფებით—დაეხმაროს ჩვენს მამაც წითელ არმიას ფაშისტ ბარბაროსთა განადგურებაში ჩვენი ზურგის განმტკიცებაში. თითოეული დღე აღსავსეა შრომითი გმირობის შესანიშნავი ფაქტებით, სამშობლოსა და წითელი არმიისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პირობებში განსაკუთრებით იზრდება პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის როლი და მნიშვნელობა. პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებები სოფლად უნდა გადაიქცნენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილ კერებად. მათ უნდა გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშრომელთა შორის, აუხსნან და განუმარტონ სოფლის მშრომელ მასებს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მნიშვნელობა და ამოცანები, სისტემატურად გააცნონ მოსახლეობას საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, მთავრობის გადაწყვეტილებები, სამხედრო ხელისუფლების ორგანოების განკარგულებები. მათ უნდა დარაზმონ კოლმეურნეთა ენერგია საწარმოო გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, ფართოდ გაშალონ სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა, მოსახლეობის მიერ სამხედრო საქმის, საჰაერო, ქიმიური და სახანძრო თავდაცვის წესების შესწავლა.

ზამთრის პერიოდი ხელსაყრელ დროს წარმოადგენს მოსახლეობაში ფართო მასობრივი—პოლიტიკური მუშაობის გაშლისათვის.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას პოლიტგანდაწესებულებათა მომზადება საზამთრო მუშაობისათვის, საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. შედგენილ იქნას საზამთრო მუშაობის ზუსტი და ყოველმხრივად მოფიქრებული გეგმა.

2. შეკეთებულ იქნას პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები, მიღებულ იქნას ზომები ბინის კეთილმოსაწყობად, უზრუნველყოფილ იქნას პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულება გათბობა-განათებით.

3. შეკეთებულ და შეძენილ იქნას მუშაობისათვის აუცილებელი კულტინვენტარი, თვალსაჩინო ხელსაწყოები, სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები და სხვ., შევსებულ იქნას ახალი ლიტერატურით დამოუკიდებელი და საკლუბო დაწესებულებათა ბიბლიოთეკები.

საზამთრო მუშაობისათვის სამზადისის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებენ საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებანი ჩააბან ამ საქმეში ადგილობრივი ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და სხვ., მობილიზაცია უყონ სოფლის საზოგადოებრიობას პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის ყოველმხრივად გაძლიერების ამოცანების ირგვლივ.

შენობის შეკეთების მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახურავისა და ჭერის შეკეთებას, რომ შენობაში წვიმა არ ჩამოდიოდეს, აგრეთვე ფანჯრებისა და კარების შეკეთებას, მინების ჩასმას, კედლები და ჭერი უნდა შეთეთრდეს, იატაკი, კარები და ფანჯრები შეიღებოს. წესრიგში უნდა იქნას მოყვანილი საკლუბო სცენა, შეძენილ იქნას საჭირო მოწყობილობა, შეკეთდეს აგრეთვე ბიბლიოთეკის ბინა (თუ ასეთი ცალკეა), შეძენილ იქნას ბიბლიოთეკის მოწყობილობა და სხვ.

წესრიგში უნდა იქნას მოყვანილი და შეკეთდეს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ბუხრები, ღუმელები, შეძენილ იქნას ზამთრის პერიოდისათვის საჭირო რაოდენობის შეშა, ქვანახშირი და სხვ. ყველაფერი ეს უნდა მოთავსდეს შესაფერის ადგილზე სახანძრო წესების დაცვით და ამასთან დაცული იქნას განიავებისაგან. თუ შენობის განათება ელექტრონისაა, წესრიგში უნდა იქნას მოყვანილი ელექტროგანათების ქსელი, შეძენილ იქნას ნა-

თურები, ხოლო თუ ნავთის განათებაა,—შეძენილ იქნას ლამპები საკმაო რაოდენობით, აგრეთვე ლამპის შუშები და ნავთის შესაფერისი მარაგი.

პოლიტგანდაწესებულებათა შენობების სახანძრო უშიშროებისა და კეთილმოწყობის თვალსაზრისით საჭიროა პირველ რიგში პოლიტგანდაწესებულების შენობა უზრუნველყოფილ იქნას ხანძრის საწინააღმდეგო საშუალებებით, განიტვირთოს ზედმეტი და უვარგისი ნივთებისა და ავეჯისაგან, შეკეთდეს ძველი, გამოსაყენებლად ჯერ კიდევ ვარგისი სამეურნეო ინვენტარი და შეძენილ იქნას მინიმალურად აუცილებელი ახალი ინვენტარი, კარ-ფანჯრებზე უნდა გაკეთდეს ფარდები, მაგიდებისათვის შეძენილ იქნას საფენები. ამას გარდა უნდა შეძენილი იქნას და შესაფერ ალაგას გამოიკიდოს ბელადების და აგრეთვე მეცნიერების ცნობილი მოღვაწეების, მწერლების, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სარდლების, სამამულო ომის გმირების სურათები, მხატვრული რეპროდუქციები და სხვ.

პოლიტგანდაწესებულება უზრუნველყოფილი უნდა იქნას საჭირო კულტინვენტარით. ძველი კულტინვენტარი უნდა შეკეთდეს, ხოლო შეძენილ უნდა იქნას მუშაობისათვის აუცილებელი ახალი ინვენტარი, აგრეთვე საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყოები, სახელმძღვანელოები, რუკები, სასპორტო იარაღები და სხვ., სადაც რადიო—მიმღები არ მოიპოვება, იქ აუცილებლად უნდა მოეწყოს სატრანსლაციო რადიოწერტი, რომლის მეშვეობითაც ჩატარდება რადიოთი გადაცემული საინფორმაციო ცნობების, თავდაცვითი თემებზე გადაცემული საუბრების კოლექტიური მოსმენა (დამოუკიდებელი რადიოდანადგარით სარგებლობისას მტკიცედ უნდა იქნას დაცული დადგენილი წესები). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და სპეციალური პლაკატების შეძენას საჰაერო, ქიმიური, სახანძრო და სანიტარული თავდაცვის საკითხებზე.

საკლუბო ბიბლიოთეკა, ასევე დამოუკიდებლად არსებული ბიბლიოთეკა, უნდა შეივსოს ახალი ლიტერატურით, განსაკუთრებით ანტიფაშისტური და თავდაცვითი შინაარსის წიგნებით, სამკითხველო უზრუნველყოფილი იქნას როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივ გაზეთებით, ჟურნალებით და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებლად უნდა გატარდეს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ პოლიტგანდაწესებულებაში (როგორც შიგნით, ისე გარეთ) სანიტარიისა და ჰიგიენის წესების, სისუფთავის, წესრიგისა და მყუდროების დაცვას, საკლუბო ქონების მოვლა-პატრონობას. ამ საკითხში საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებათა მუშაკებმა უნდა იხელმძღვანელონ განსახკომის პოლიტგანმუშაობის სამმართველოს მიერ გამოცემული ბროშურით „მითითებანი პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარია-ჰიგიენისა, წესრიგისა და ქონების დაცვის შესახებ“ (1941 წ.).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტგანდაწესებულებათა ირგვლივ შემოკრებილი აქტივის განმტკიცებას. კულტაქტივისტთა რიგებში ჩაბმული უნდა იქნან სოფლის მოწინავე ძალები, პირველ რიგში ადგილობრივი სკოლის მასწავლებლები, მოწინავე კოლმეურნეები, სტახანოველები. აქტივისტები ფართოდ უნდა იქნან გამოყენებული საკლუბო მუშაობის ყველა უბანზე, როგორიცაა ყოველდღიური პოლიტინფორმაცია, საუბრები, ხმამაღალი კითხვა, საცნობო-საკონსულტაციო მუშაობა, საჰაერო, ქიმიური, სახანძრო, სანიტარული და სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის საკითხები. აქტივისტებისათვის დროგამოშვებით უნდა მოეწყოს ინსტრუქტაჟი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიშალოს პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა სოფლად იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომელიც სამამულო ომმა ჩვენი ქვეყნისა და, კერძოდ, პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა წინაშე დააყენა.

უნდა გადახალისდეს საკლუბო დაწესებულების საბჭოს შემადგენლობა, ხოლო საბჭოდან გასული ან უმოქმედო პირები შეიცვალონ ახალი ამხანაგებით.

საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულების სამზადისი ზამთრის პერიოდისათვის უმოკლეს ვადაში და მაღალხარისხოვნად უნდა ჩატარდეს, რათა შესაძლებელი შე-

იქნეს ზამთრის პერიოდში მასობრივი პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა ისეთი მოცულობით, ტემპითა და შინაარსით, რაც დღევანდელ ვითარებას შეესაბამება. რაც შეხება თვითონ მუშაობის ფორმებსა და შინაარსს, საკლუბო დაწესებულებათა მუშაკებმა ამ საქმეში უნდა იხელმძღვანელონ განსახკომის პოლიტგანმუშაობის სამმართველოს მიერ გამოცემული მეთოდური ბროშურებით: „საკლუბო დაწესებულების მუშაობა სამამულო ომის პირობებში“, „მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობა სამამულო იმის პირობებში“, „მეთოდური მითითებანი სამხარეთმცოდნეო მუზეუმში გამოფენის მოწყობის შესახებ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით“.

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო და საქალაქო განყოფილებების გამგეებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი, დაეხმარონ და პირადად გაუწიონ ხელმძღვანელობა ზამთრის პერიოდისათვის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მზადებას, რეგულარულად შეამოწმონ მუშაობის მიმდინარეობა და მიიღონ გადამჭრელი ზომები საზამთრო მუშაობის წარმატებით მომზადებისა და ჩატარებისათვის.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე მ. გურჯულაძე**

**პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს უფროსი ა. გაგისონია**

20 სექტ. 1941 წ.
თბილისი

პ/მგ რედაქტორი გ. ი. კიზირია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 29/XI ფორმატი 8×12
ქაღალდის ზომა 70×105 ფორმათა რაოდენობა 1½ სასტამბო ნიშანთა რაოდენობა ფორმაში 80.000.
ტირაჟი 3000, შეკვეთა № 2964 უე43601
სტამბა გამ-ბა „ტექნიკა და შრომა“-სი, ფურცელაძეს ქ. № 5

**Сборник приказов и распоряжения, на груз. языке НКПроса ГССР. № 10.**
**5-ый год издания.**